

F 24
1888

თ ე პ რ ი

საყოველ-ჯირაო სალიტერატურო და სამხატვრო ჟურნალი

1888 წელსა

№ 35 და 36.

ოდიოგრაფი 6

გაზეთი ღირს: ერთის წლ. 5 მან.,
წახევ. წლ. 3 მ., ცალკე № 15 კ.
ხელის მოწერა მიღება: თბილის-
ში, რედაქციის კანტორაში, ფოთ-
ში ბესრიონ კალანდაძესთან, ად-
რიესი გარეშე შეცხოვებითავთვის: თიფ-
ლის, ვ. რედაქციი გავტონის
“TEATRЪ”. გაზეთი ისყიდება:
თბილისში, ჩანკვინის წიგნის მაღა-
ზიაში და ბ-ნ ხიდეებითან—გთ-
ლოვინს პროსეკტზე.

საგაზეთოდ დანიშნული წერი-
ლები (კორექციონდენცია) გარევე-
ვით უნდა იყოს დაწერილი. თუ სა-
ჭიროება მოითხოვს წერილებს, რე-
დაქცია შეასწორება. რედაქცია არა
კისრელობს წერილების უკან გაგ-
ზებნს და მათ შესახებ მიწერ-მო-
წერას.

ყველ წერილში უნდა იყოს
მოხსევებული: სახელი გვარი და
საცხოვრებელი აჯგილი დამწერისა

თ ე პ რ ი

უმაღლესად ებობა წმ. მთავარ მოწამის ეკატერინეს ორ-
ფერი პატარა ჯვარისა: კავკასიის მთავარ-მმართებელის თანაშემ-
წის შერემეტიევის მეუღლეობის ევდოკია ბორისის ასულს შერე-
მეტიევისას, კნ. ქეთევან გიორგის ასულს ჯამბაკურ-ორბელია-
ნისას და ალექსანდრა მარიას ასულს მელიქოვისას. ფრეილი-
ნობა ებობა: მარიამ მიხეილის ასულს სუმბათოვისას, ნინო ლე-
განის ასულს მელიქოვისას, ელენე სამირნის ასულს შერვაში-
ძისას და ბარბარე ნიკოლოზის ასულს არლუტინსკი-დოლ-
ვორუჟისას.

ხელმწიფე იმპერატორმა უბობა: კონსტანტინე ივანეს ძეს
ბაგრატიონ-მუხრანიკის ეგერმესტერობა, ტფილისის მაზრის
წინამძღვრლს მაღალობა—კამერგერობა, სიღნაღის მაზრისას—თ.
ანდრონიკოვს, თ. გრუზინსკისა და თ. ა. ბაგრატიონ-მუხრან-
სკის—კამერ—იუნკრობა. ყველა იმ თავად-აზნაურთ, რომლებიც

საპატიო ყარაულში იყვნენ, ხელმწიფე იმპერატორმა უბომა მილიციის პრაპორჩიკის ჩინი.

ტფილისის ყველა სასწავლებლების მოწაფეები დაითხოვეს სამის დღის ვადით: ოქტომბრის სამიდამ-ექვსამდე.

ხელმწიფე იმპერატორს რეინის გზაზე მიეგანენ: უფროსი საპატიო ყარაულისა პოდპოლკოვნიკი თავადი ამილახვარი, თავადი მ. რ. გაჩნაძე, თ. ნ. გ. ჭავჭავაძე, თ. ნ. გ. ხიმშიაშვილი, თ. ი. ზ. ტუსიშვილი, თ. ს. გ. ჭავჭავაძე, თ. ე. დ. ქობულოვი, თ. ლ. გ. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თ. ნ. ტ. გაჩნაძე, თ. ნ. დ. ერისთავი, თ. გნ. ნ. ბეგთაბეგოვი, თ. ლ. მ. ციციშვილი, თ. ი. გ. ციციშვილი, თ. ი. გ. ბაგრატიონსკი, თ. ი. ზ. სუმბათაშვილი, თ. გ. ი. არღუტინსკი-დოლგორუკი, თ. ი. აბხაზი, თ. ი. ა. ანდრონიკაშვილი, თ. რ. მ. ყარალაშვილი, თ. ა. ე. ამირაჯიბი თ. ს. ა. ბეგუთაშვილი, აზნ. ზ. ბ. თავლენიშვილი, თ. ს. ა. ანდრონიკაშვილი, თ. ნ. გ. გაჩნაძე, თ. ე. გ. თარხნიშვილი და თავადი კ. ა. ერისთავი.

სიმართლის გამოსაჩენად. *)

(ჟესახებ გრ რამ—ლის წერილის) **

«ივერიის» ას სამოც-და-მეათე ნომერში დაბეჭდილია «წერილი პროვინციიდამ», რომელსაც ბოლოში ე. რამიშვილის სახელი აწერია. ეს წერილი თავის შინაარსით ორ ნაწილად განკუთვება. პირველში განკიცხულნი არიან აქაური, გორელი, «სწავლა-დამთავრებულნი», ხოლო მეორეში—ნაქებნი და ცამდინ აყვანილნი ზედამხედველი აქაური სამოქ. სკოლისა ბ. მ—ძე და ყველასგან ცნობილი ზეზემანი კამპანიით (წერილის ავტორი ქართველიშვილის და ამხანაგობის სახელსა ხმარობს). ავტორის

*) ამ წერილის თავის დროზე გამოიტავნა ვერ მოხერხდა არა ჩემზედ დამყიდებული მიზეზების გამო. ავტ.

**) ამ წერილს უმეტ-ნაკლებოდ ვხელდავთ. რედ.

სიტყვით აქაური **«სწავლა-დამთავრებულები»** საზოგადოებაში ღვარძლის თესვის, ჭორაობის და ავკაციის მეტს არას აკოფებენ; ამიტომაც მათგან რაიმე სიკეთე ჯერ არაეს რა უნახავსო... სწორე მოგახსენოთ, მე ვერ შემიტყვია რისთვის და რისგამო არის აქ ჩამოგდებული ლაპარაკი ამ **სწავლა-დამთავრებულებზე?**. რა კავშირი აქეს ამ უსაფუძვლო კიცხვას წერილის დანარჩენ აზრებსა და საგნებთან? ხანდისხან, როდესაც ერთი საქმის, ანუ საგნის დამცირება უნდათ, მეორე საგანს, მის მოპირისპირეს ქებას შეასხმენ და ათასნაირ ლირსეულებათ მიაწერენ ხოლმე. მაგ. როცა შეავის ქება სურთ, თეთრს ამცირებენ და ტალახის გუნდებს ესვრიან. იქნება აეტორი წერილისა ამ დიპლომატიური აზრით ხელმძღვანელობს და **სწავლა დამთავრებულთა დამცირებით** **სწავლა-დაუმთავრებელ ზეზემან-მ-ძე-ების** გმირებათ გარდაქცევა უნდა?.. შეიძლება!.. გორელ ქართველობაში სულ ხუთი კაცია **«სწავლა-დამთავრებული»** და, ამა, ერთი გვიბრძანეთ: რომელ მათგანზე შეიძლება წარმოთქმა იმ ღვარძლიანი სიტყვებისა, რომელთაც თქვენ, ჩემო ბატონო, ასეთის გულუხვობით ხარჯამთ თქვენს წერილში? რომელი საზოგადო საქმე დაწყობილა გორში ისე, რომ თქვენგან ასე უშვერად შეურაცხოფილნი **«სწავლა-დამთავრებულები»** პირველ რიგში არ ჩამდგარიყვნენ, ან რომელსამე თქვენგანს, ჩემო **სწავლა-დაუმთავრებელო** მეგობარო, უკან ჩამოგრჩენოდენ რაიმე კეთილ მოღვაწეობაში? მათგან სიკეთე არა გვინახავს რაო... განა პატიოსან კაცს შეჰვერის ამგვარი უმაღურობა?.. ეს ხომ განგებთვალების დახუჭვაა?. ან იქნება მესივრებამ გიმტყუნათ და სრულიად გადაგვიწყდათ ის ქება და დიდება, რომელიც არა ერთ-ხელ წარმოგითქვამთ ზოგიერთ ამ **სწავლა-დამთავრებულთავანებზე?** მე დარწმუნებული ვარ, ბატ. ერეკლე, რომ თქვენ დაშორებით უფრო პატიოსანი, მეგობრობის გამტანი და პირდაპირი კაცი ბრძანდებით, ვიდრე თქვენი წერილის ავტორი და ამიტომ მიემართავ თქვენს სინიდისს და ვკითხავ: ჩვენგან ჩადენილი სიკეთე გინახავს რამე, თუ არა? თუ თქვენი სინიდისიც იმ გვარადვე თვალებ-აბმული არ გამოდგა, როგორიც ყოფილა

კალამი თქვენი წერილის ავტორისა, მაშინ უსათუოდ მართალს იტყვით. მაგრამ უკეთუ აქ კალამი არაფერ შეუშია და მას და-უწერია ის, რაც თქვენს სულს უბრძანებია, მაშინ იმის მეტი სხვა აღარა დაგვრჩება რა, რომ მდუმრებით თავი დაგიკრათ და „შორ და შშეიდობით“ მოგახსენოთ.

მეორე ნაწილში, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ჩვენი ავტორი ჯერ ბ. მ-ძეზედ ლაპარაკობს და შემდეგ ზეზემანის ამ-ხანაგობაზედ; ამ უკანასკნელს და მის დიდებულ საქმეს ამ ეამად არ შევეხებით, რადგან სახეში გვექვს ამ მოკლე მომავალში მას ცალკე წერილი ვუძღვნათ! მაშინ ვეცდები-შემოკლებით მაინც აენუხსო ყველა ის სიკეთენი, რომელთაც მოხსენებული ამხა-ნაგობა სთხავს ბუნებით მდიდარს და შშენიერს ატენის ხეო-ბაში, ამის მიდამოთა მცხოვრებლების მომავალს მდგომარეო-ბაში და აქ ოფლის-მღვრელ ჩვენებურ საცოდავ გლეხ კაცთა კისრებსა და ჯიბებში. ეხლა მხოლოდ ბ. მ-ძეზედ მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენო ჩვენი პროეინციალური წერილის ავტორისა. წარსულ თოვეს „ივერიის“ ერთს ნომერთაგანში დაიბეჭდა გორიდამ გამოგზავნილი კორესპონდენცია, რომელ-შიაც სხვათა შორის საზოგადოთ იყვნენ ნახსენები და განკიცხულ-ნი ერთი აქაური სასწავლებლის პედაგოგები... კორესპონდენ-ციაში არც სასწავლებელი იყო დასახელებული, არც მისი ზე-დამხედველი, არც ბ. გ-ძის აწყვი და არც მისი წარსული. ამის-თან შემთხვევაში ყოველი პატიოსანი მწერალი, რომელსაც კი სწამს ლიტერატურული ადათი და ზრდილობიანობა, არას ღრის არ გადასცილდება ნათქვამსა, არას ღრის არ მოინ-დომებს მის გადასხვაფერებს, დამატებას.. პროეინცია-ლური წერილის ავტორი კი ამ ნაირად არ იქცევა!. საზო-გადოთ, უსახელოდ გამოთქმულ აზრებით იგი არა კმაყოფილ-დება! ყასაბივით დაუმკლავებია ორთავ ხელები, ღრმად ჩაუყვია კორესპონდენციის დამწერის სულსა და გულში და ბავშვის სითამამით ამოულავებია იქიდამ ის, რაც მის საკუთარ ჰქუ-გონებას წარმოსდგომია... სასწავლებლისათვის სახელი უწოდე-

ბია, საერთოდ იქაურ პედაგოგებზედ ნათქვამი მას ერთის კა-
ცუსათვის შემოუხვევია, ამ კაცის თანამდებობა, სახელი და
გვარი, მისი აწყვი და წარსული ურიის ბოლჩასავით გადაუშ-
ლია; მასწავლებელთა მოქმედების ერთს მხარეზედ ბაასი მას
გაუსახოვადოებია, და თანაც ყოველივე ესე აულია და დარბა-
ისლურის კილოთი სხვისათვის მოუწერა! რათ ნებულობთ, ბატო-
ნო ესოდენ უმართებულო სამსახურს, როდესაც თქვენ ამას არა
ვინა გთხოვთ? რათ ასხაფერებთ არა თქვენსგან წარმოთქმულ
სიტყვებსა და აზრებსა? რომელმა ტარტაროშმა შოგანიჭათ უფ-
ლება სხვის სულსა და გულში ხელების ფათურისა? მაგრამ ყველა
ესენი არაფერს არ ნიშნავენ იმ მრუნარ, საზიზღარ ცილისწამე-
ბასთან, რომელსაც ავტორი გვაწერს ჩენა ბ. მ-ძის წარსულის
შესახებ. «მოანბე იმიტომ უფრო ჰერიცებს ბ. მ-ძეს, რომ მან
მიიღო განათლება თავის საკუთარის შრომითა და მეტადინეო-
ბით» ბრძანებს აეტორი, და თანაც ბაეშურის გულწრფელობით,
ანუ უკეთ—ბებრულის გაიძერაობით უმატებს: «განა დასაცინი
და დასაძრასისი ვინმე იმიტომ, რომ სიღარიბესა და ობლობა-
ში აღზღილა?» ღმერთო გვაშორე ამაზედ უარესი!. უმორჩილე-
სად გთხოვთ, ბატონო ჩემო, გვიჩენოთ ის ადგილი, საიდამაც
ამოიღვეოთ ეს სიტყვები!. მაგრამ, რას მიჩვენებ, როდესაც მე
ამ გვარი ჩემს დღეში არა მითქვამს რა... და ან იქამდინ რო-
გორ გამიწყრება ღმერთი, რომ ვინმე «შრომისა, ობლობისა
და სიღარიბისათვის» დავძრახო. სხვა რომ არა იყვეს რა, მაშინ
ხომ თვით ჩემი თავის განკიცხვაც იქმნებოდა ესა, რადგან მეც
ამგვარსავე ობლობასა და სიღარიბეში ერ აღზღილი!..

შემდეგ: კორესპონდენციაში ნათქვამი იყო, რომ ამ რაც-
დენისამე თვის განმავალობაში ექვსი შეგირდი გამოიჩიცა ერთი
აქაური სასწავლებლიდამაო... ჩევნს აეტორს ამ ფაქტის უსრულე-
ვერ გაუბედნია, მაგრამ მოუნდომებია კი ბ. მ-ძის გამართლება
და ამისათვის მთლად სასწავლებელსაც კი აღარა ზოგავს!. ივი
ბრძანებს: ამ სასწავლებლის შეგირდები ერთობ ზნეობა გახრ-
წნილნი იყვნენო... ამიტომაც გამოიჩიცნენ ექვსი შეგირდით
და ისინიც იმისთანაები, რომელნიც მეორესა და მესამე კლასში

დაწვერ-ულვაშებიანი ისხდნენო... პირველი რომ ბ. მ-ის ხსენება კორესპონდენციაში არსად არ არი; არ არის იმიტომ რომა გამორიცხავა შეგირდებისა, მათი მიღება და სხვა ამ გვარი საქმეები შეადგენენ პედაგოგიური კრების საგანსა და არა ერთი რომელისამე პირისას, თუნდაც რომ მეუფროსე იყვეს, ეს პირი; პედაგოგიური კრება კი გუშინა და დღეს კი არ მოვიდა ამ სასწავლებელში, არამედ დაარსდა ამ უკანასკნელის გახსნისთანავე და, მაშასად. «წვერ-ულვაშიანი», «ზნეობა-გახრწნილი» შეგირდების ყოლა მისი უხეირობის, უზრუნველობის ბრალია და არა იმ უბადრუკ შეგირდებისა, რომელთაც, სხვების შეცდომის გამო, დღეს ზურგზედ მტკვრი აედინათ. ამასთანავე საჭიროა აქვე დაუმატოთ, რომ ექვს გამორიცხულ მოსწავლეთა შორის მხოლოდ ერთი ურევია მართლა წვერ-ულვაშიანი, დანარჩენები კი სულ პირტიტველა ახალგაზდები არიან და ერთი მათვანი ხომ სულ ბავშვია. «შეგირდები ერთობ ზნეობა გახრწნილნი არიანო... ლმერთო, დაგიფარე ამ საშინელებისაგან!.. განა შესაძლებელია, რომ ორს-სამასი შეგირდი სადმე დედა-მიწის ზურგზე ერთობ ზნეობა გახრწნილნი იყვნენ?.. რომ ეს ასე იყვეს, ამისათვის საჭიროა რომ, ერთის მხრივ მთელი ის საზოგადოება, რომელიც აძლევს, სასწავლებელს შეგირდებს, და მეორეს მხრივ-სასწავლებლის გამგე-მოწალმართენი იყვნენ ზნეობა დაცემულნი, გახრწნილნი!. განა ამის თქმა შეიძლება გორელ საზოგადოებასა და სამოქ. სკოლის იმ პედაგოგებზედ, რომელიც ბ. მ-მემდისინ აწარმოებდნენ მოხსენებულ სასწავლებლის საქმეებს?.. მართალია ბევრი ნაკლულევანება ჰქონდა და აქვს დღესაც მოხსენებულს სასწავლებელს, მაგრამ არც ისეა მიწასთან გასწორებული, როგორათაც თქვენა ბრძანებთ!.. და ბრძანებთ მხოლოდ იმიტო მა რომ ბ. მ-ე მალლა ქანდარაზედ შეისკუპოთ!.. ალბათ ამასა ჰქვიან თქვენს ჰქვაში: «მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი.. გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა». ბოლოს, არ შემიძლიან მკითხველის ურადღება არ მიგაქციო იმ დონკისოტურ მედილურობაზედ, რომელსაც ჩვენი ავტორი იჩენს თავის „ხელის-ხელ საგოგმანებ“ წერილში... „ან კი რას ავტეხილვართ და ვრეკავთ — ამაყად

ბრძანებს ჩვენი მანათობელი—განა მთელს თავიაანთს სიცოცხლის
ხლეს ზოგიერთა ვაჟბატონები ისე არ ატარებენ, რომ ზარის რე-
კაზედ ერთხელაც არ დაიწერენ პირჯვარსა!.. ხედამთ, ჩემო
შეითხეველო!.. ზარიცა ჰქონია და კიდეც ურევნია!.. მაგრამ ან
კი რა არის აქ გასაკვირველი!.. თუკი განსვენებული გ—ცენსა
ჰქონდა ზარი, რატომ ამას კი არ უნდა ჰქონდეს?.. ჩვენი მა-
ნათობელი რითი სდგას გ—ცენზედ დაბლა!.. თუ იმას ორი ფე-
ხი ება, ამას კი განა ოთხი ფეხი აბია... და თუ იმას დაბეჭდილი
ქალალდის ზარი ჰქონდა, ამას უფრო თითბრისა არა ჰკიდია!.
, პირჯვარს არ იწერენო! უკაცრავად, თქვენო ბრწყინვალებავ,
უკაცრავად.. ეს სულ იმ წყეულ-შეჩერებულ მენახშირების ბრა-
ლია!. თქვენი ზარის ქექა-ქუხილი რომ სხვა ზარების წკარა-წკუ-
რად არ მიგვეღო, უსათუოდ მოწონებით მოვიდრებით თქვენს
წინაშე მუხლთა ჩვენთა!.. თქვენ მაინც ნუ დაჰკარგავთ იმედს!
რეკეთ, რეკეთ რაც შეიძლოთ!.. დღეს თუ არა, ხვალ მაინც
გამოჩნდება ვინმე მადლიანი კაცი: თქვენი ზარის რეკას /ყურს/
მოჰკრავს და ხელგაშლით გადაიწერს პირჯვარს, მხოლოდ მო-
წიწებით კი არა, არამედ გაოცებით, განცვითრებით...

ერთი “სწავლა დამთავრებულთაგანი.”

1888 ექვენისთვის 24-ს

რ ა ღ ი ნ ი ა

კოდეკილი კრთ მოქმედებად.

(გადმოცემული)

მოქმედნი პირნი:

ავეტიქა, შეახნის ქაცი, კაჭარი.

იაგორა, ახალგაზდა პრიკაშეივი.

იქანე, რესი, ავეტიქას მსახური.

ავეტიქა, მოსარეცხ.

სცენა წარმოადგენს უბრალო ითახს, ტახტზე გაშ-
ლილია ლოგინი, რამდენიმე სკამი, კედელზე სარკე ჰკიდია.

გამოხვდა I ავეტიქს.

სამართლია
სამართლია

ავეტიქს. (ხედვთათ ზოს სტრუქტან და სწერს) ჩაგვერთ
არ ჩაგვერთ ამ თხერ დაგთარში; ორმ არაფერი არ გამოდის.
ჩემის ანგარიშით აქმდინ სამჯერ ამაზე მეტი ფული უნდა მქონ-
დეს. მამაცხოვებული, იღებ ფულს, სესხულობ, ასარ, აიღ ისევ მამე-
ცი და! თათრობა ხომ არ არის? (ხმას იცელის) ავეტიქსან, პატა-
რახსნ კიდევ მაიცავ, დღეს არიქნება, ხეალ იყოს, ზეგ, მაზეგ, მე
გი დაგვინდი! ხახ ვიტევი ნულარ მიუცემ, მაგრამ რას იზამ, ასარ,
იმოტელა სარგებელს გაძლევენ, ორმ კასტაც გააგდებინებ და მისცემ.
(იღებს უბიძგას ქადაღდებს) მაშ ეს სკესილება და ბარათები არა-
ფერია? აქ არომოცდა ათი თუმანი, აქ თცდა ათი თუმანი, აქც სა-
მოცდა-სამი თუმანი, კა, კა, ხუმრობა საჭმა!.. მოელი სიცოცხლე
ძიმისათვის მიტანებია, თუ არ მამცენჭე ხომ გაგვიყდი... (ფიქრობს,
მ დროს შემოდის იაგორა, რომელსაც კერ ხედავ) ნაძღვილათ
გავიჟდებ!

გამოხვდა II

იაგო და იაგორა

იაგორა. (იქით) გაგიაჭდები, მარა მოგივა, ერთი გროშისა-
თვის სულს გააჭიდი, თებალების ჭირით აქეთ იქით იუურები თუ
გის უფრო ბევრი სარგებელი გამომართო, მარა მოგივა, რომ არ გა-
გოჭე.

ავეტიქს. (თავისითვის) კარგი და აბა კინათ როგორ არ მამ-
ცემთ, თუ ვირის აბანოში არ დაგადისთ და მე ავეტიქს არა კუ-
ფილებარ, (ამოიღებს ფულს უბიძგას) არა ძმებო, ჩემთან კერას გას-
დებით, ჭაშს კერ მაზამო; თქვენ ძალის პატიოსან და ხეთრიან
გაცორა არ დაგიტერიათ საჭმე. კა, ჭაშს მი ხომ არ მიგრეფია, მაშ თქვენი
უდირიც არ ვიცოდე!

იაგორა. (იქით) ახ, ჩემი მტერი ჩაგარდეს შენს ხელში.
არ მამცემ რადა, მაშ აბა და კცდი. (მიასლოვდება) ავეტიქს, ბაროვ!

ავეტიქა. (შემინგბული წმინდას ტემპერატურა, კექისღების და ფულების გადაცვა და მეტ აძლის და სწორებას და უკურნებას.)

იაგორა. რას შერები, გაცო, ბალიში რა დაგოშევა, რომ
მაგრე აწალებ, მაგასაც მართებს რამე შენი?

ავეტიქა. (შემინგბული) ვინა, რა, რა ბალიში, რას ამბობ?

იაგორა. ჯერ გამარჯობა აკრიტიკან, როგორა ხარ ქეთზე,
რას შერები?

ავეტიქა. ჭო, ბალიშზე ამბობ? ჭო, ლოგისს ვასწორებდი. ერთი
საწალი კაცი ვარ იაგორჯან, ვინ არის ჩემი პატიონი,
ჩემს თავის მე უნდა კემსახურო, მაში რა კენა?

იაგორა. (იქით) რა შვილს ატყუებს (იმას) რათა აკეტიქ, გა-
დადილობიდები რა უვა? რატომ არ იმსახურებ და ვასს არ აგდებინებ?

ავეტიქა. ეჭ, იმანაც ორე მომაბზრა, სულ ჩაის სომს გაცო,
ზაქლა წაიღო რაღა!

იაგორა. იცი რა არი აკეტიქ? მოდი მე ერთ საკეთს ვიზომ,
ერთ გოგოს გამოვნი ვისმეს, მე ვიცი ქებნა მამინდება, ძალდებისავით არ
ირკინ თუ; შეივასნე სახლში და იმსახურე როგორც გინდა, შენ
თითონ რათა წესდები?

ავეტიქა, პრა მმარ, მე გოგოების თავი არა მაქს.

იაგორა. ახდა ის როგორია რომ... (უკრძალ ქურნელება)

ავეტიქა (წერით) ღმერთო შეგცოდე (აფერთხებს) ფუ, ეშმა-
გო, ფუ! (ამოიღებს კაბიდგან ლოცვანს და ვითხულობს)

იაგორა. ვაიმე, მართლა გაგიყებულა ეს ლერი; გაცო სხვა
არა იყოს რა მწერების გებას; მათც ასწავლი, რომ გაჭამოს სოლ-
მე, შენ ხომ გიუგარს მწერები!

ავეტიქა. ჩემი მწერები ლოცვებია, მე სხვა საკმელი არა მინ-
და რა.

იაგორა. (იქით) აი, ისემც გაგიწურეს მაგ ლოცვების მად-
ლი რა წმინდა გულითაც შენ დაცულობ. (იმას) მე და ჩემმა სულმა
ძალიან კარგს ამბობ, მაგრამ ჯერდების რომ თავისი გააჭის.
აი ესლა მე იცი რასთვის მოვსულებარ? ახარ, ეს ერთი თევა ფულის
გალი, მაგრამ ეტეობა ჩემს საზეინს ჯერ არ გამოუგზებნაა; აქ ამდენი
ამზებია, ჭარ ცირკონ, ჭარ ტიატრიო, ჭარ მასკარადიო... მასკარადი ხომ
იცი აკეტიქჯან რაც არის?

ავეტიქა. (კითხვას განაგრძობს და თან ამიღას) ამა რა კუჭოდე? რა არის, მე განა დასაკარგი სული მაქსი, რომ ეგები კაცოდე? რა ჩემი საჭმა!

იაგორა. არა ავეტიქ, განა რა გეონია ის. მასკარადი იცი რა არის: აი ჩენი უბნის ბიჭები ქადაფლისა და ძონძების ორმ აიფარე ხენ ხოლო სახეზე უკინობის დროს, იმ ნაირია რაღა, ქადებსაც ისე აქეთ პირზე აკრული; მერე, რომელიც გინდა წაიყვნე, ელაპარაკე, ემსლიათე თუ მოგიწონა იქნება მასკა... ასედოს კიდეც, რასაც გინდა უზიმ რაღა! ისეთი კარგია ჩემი მზემ, რომ ამა რა გითხოა. მოდი თუ მმა ხარ ავეტიქ, ადე ლოთანათ წაგიდეთ, ისეთი დრო გაატარებინო ზიარების მადლმა, ისეთი, რომ მართლა კარგი.

ავეტიქა. ერთი მამშორდი თვალდგან, თუ მმა ხარ; ამა მე მაგისტრის საჭმეში ფულებს გაუაფუტებ? ან კინ მამა მასკა ფული, ერთი საცოდავი კაცი კარ.

იაგორა. რას საცოდავი, კის ატეუბ, კის?

ავეტიქა. ღმერთმა დამიზარდოს, მე მოსატეუბებელი გისონ რა მაქსი; მქონდა, განა არა მქონდა, მაგრმ სულ სხვამ შემიჭამა და დაკრიჩი ცარიელი.

იაგორა. მაშ კარგი, რას მამცემ ლოთანათ გაჩენო ის ადგილი, სადაც ფულები დამალე.

ავეტიქა. (იქით) ვაძე, იქნება წედან ნახა? ეს რას მაჟქარაშს, (იმას) არა მმო, მე დასმალი რა მაქსი, რაც არ არის რა უნდა მაჩენო?

იაგორა. დასმალი რა გაქს? (მოუსლოვდება დოგინს) მაშ ამბობ გაჩენო რაღა?

ავეტიქა. (დააწება ლოგინს და ჩაბლუჭავს ბალიშს) კა, რა-გინდა კაცო, ერთი მამშორდი.

იაგორა. (სიცილით) მაშ ამბობდი ფული არა მაქსია! მამცა რაღა. მე ვამოენი ადგილს, (პირაუტების ერთმანერთს) მე წუხელ სიტმარში ჭახსე საცა დამალე, განა აღარ მასსოვს!!

ავეტიქა. ბიჭო, სეჭი აღვე მეთქი, რა სიზმარ, რას მიედ-მოედები, აქ სედსასოცი მქონდა და იმას კეძებდი, კაი!

იაგორა. სელცასოცი კა არა, შენმა მზემ, ფერხატეჭები არ გინდა? კარგი, ჭო, შენი მასკარადში წამოსკლა არ მინდა, გენუმრებოდი. მა-

ტა ქრთი სამი თუმანი მასესხე ერთი თვის გადით, მაღამ საჭაროს, აკეტიქს მზემ, ამაღამ თუ იქ არა კარ, არ იქნება; სარგებლი რაც გინდა გამომართვი.

ავეტიქს. არა, მმათ, მეწეალში გადასაყრელი ფული არა მაქს, მერე შენმა ხაზეინმა რომ გაგიგოს თვალებში გაგოცებს, არა?

იაგორა. ხაზეინი რას მიქიან, მე ჩემი ჭება მაქს, რასაც მინდა იმას ვიზამ, სარგებლი არ გაძლებელ გიურა ეს ოხერი. გაცო ერთ სამ თუმანს არ შენდობი, შენი ქეციანი სამი თუმნისთვის ქალქადგან ხომ არ დაკიგარებები? საქმე იმ ნაირთ არას, თუ ამაღამ არ წაველი იქ, არ იქნება მეტე, ხომ გუბნები. აი თუ გინდა მართალი გითხრა: ერთ დამზე ქალს მაღან უკარგარ და...

ავეტიქს უკარსარ შენმა მზემ, შენი სერთუების შეგვაიცები მოეწოდება. ფულის გულისთვის უნდიხარ რაღა, არ ვიცი მაგათი რაზბონიკობა?

იაგორა. აფი თუ წმინდა ქაცი კარო და ლოცვებს კვითხულობო, მაში ეგენი საიდგან იცი?

ავეტიქს არა, მე რა, მე ისე ტარითა კოჭი, რაღა!

იაგორა. ჭო, კარგი, ერთი უური მიგდე რას გეუბნები: ახლა, იმ დღეს ხიდზე მოვდიეთ და ჩემი ჰირ-და-შირ ის ქალი მოდის: ახლო რომ მოვიდა დამიწურ დაშარავი: რაკომ ვიო ხაროშენკი, ა ლულუ ყორა თმათ, მაღან ლამბზი (თმა გაჭესო, ჭაი აქეთ, ჭაი იქით, ერთი სიტუკით შამიუკარა რაღა! არავინ არა ჭეავს ერთი ტოტუმებას მეტი. ესდა იმიტომ გეხევწები, რომ ამაღამ ის ქალი იქ იქნება და თუ არ მამრემ აბა, რა გმხა?.. გაცო სარგებლის სარგებლის გაძლევ რაღა, სხვა რაღა გინდა?)

ავეტიქს. (გახარებული) რათ, სარგებლის სარგებლილ? (ფიჭრის შემდეგ) არა მმათ, არა მაქს.

იაგორა. გაცო, შე უდმერთო, ემ თავითუ მაგისთან სარგებლის გაძლევ, სხვა რაღა ცეცხლი გინდა, ცოტაა? მორჩი, ამოიღე ემ საათში, თორემ ხომ იცი ჩემი ბენედიანი თავი, მე ფეხებზედაც არა მკიდისარ, იმ ქალის გულისათვის იცი თუ რას გიზამ?

ავეტიქს. რას გაგიყებულხარ ბიჭი, რა უნდა მიყო?

იაგორა. (იქით) ერთი უნდა მაჯაშინო, გალუსტა მეუბნება,



რომ ერთ გრძელებაც კურ დასძლებენ. (იმის) ჟაა, რაღაც ფიქრობ, თქვენ იძლევით თუ არა?

ავეტიქა. არა მეთქი არა, მაღლაბანაზე ხომ არ არის?

იაგორა. მაშ არ იცი, რომ ძაღაზეა, ნებით რომ პრ მაძლევს მაშ რა კუნა, ამა ნუ მომცემ!

ავეტიქა. ნუ მომცემო? მერე რას მიზან?

იაგორა. იმას რომ შენც მოგეძამ და ჩემ თვალებც; დე, რაც უნდა მოხდეს, მე ამ ნაირი ხსივთის შატრონი გარ, თუ რაც მინ-და გველით არ აკარტელე, ჭყაფნა ფეხებზედ მკიდია.

ავეტიქა. რაც გინდა ქენი ძმილ, შასტებაც შენ მისცემ.

იაგორა. (ჯიბიდვას იღებს ფალმის დანას) მაშ არ მაძლევს რა-და! (მიუსალოვდება) ხედამ ამ დანას? ამა მამხედე, თავს მოგამორებ მე და ჩემმა სიყმემ, დე მერე თუნდა კამატებაში ჩამამასირჩონ, ჩემ-თვის სულ ერთა.

ავეტიქა. (უშინებული) ბიჭო, გაგიყდი, რა დროს ხუმრობაა? ეშმაკი მაცდეურია, ე მანდ რომ ხელი აგიანებალდეს და მუცელ ში მა-ტრაკო, მერე? ამა, იაგორ, ეგეთი ცუდი ხსივთი რომ გაჭის, დანას რათ ატარებ ჭიბუში; ჟაა?

იაგორა. (უფრო მიუსალოვდება) აი თვალები დამიბრულდა, კა-დათას გხედავ, მორჩი ამოიღე, თორებ მოვიდა.

ავეტიქა. (უკირის) იაგორ, იაგორ, რას შერები ბიჭო, თავი დამსხებ და!

იაგორა. (მიუსალოვდება, თათში დასჭრის) გაცო სამი თუშნის გულისთვის შენს სულესაც გარგავ და ჩემსასაც?

ავეტიქა. (დაისწერას თითზე) ბიჭო, ეს რა გიჩნია (იბერის თითზე) ახარ დადექ რადა, შესთვის იყე.

იაგორა. (ეკავგურუს) ჟაა, თქვი ჩემრა!

ავეტიქა. ბიჭო, მაიც მეთქი, მგონი თითი ადარ მაბია, შე დაბლოცვილო, ხმდვილი გიყი ხარ რადა!

იაგორა. ჟაა, მაძლევს მეთქი თუ არა?

ავეტიქა. გაძლევს, გაძლევს, ახარ, მაიცა და! იცოდე რომ სარ-გაბელს ეხლავს ავიღებ!

იაგორა. ყაბული მაჭის, ამაიღე, მორჩი!

ავეტიქა. მაშ წადი ჟერ გალიფორნიეს დაუძლებე! იაგორა. კაცო, ნეებინაან, გამოიღე ბაზარიშიდან, მე გარშე გავდიგარ (იქთ). აზირ რა ჩქარა შემხნდა, აი მამიკვდი, აკლიჭ, მამიკვდი (გადის)

ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା ଶ୍ରୀ ଶ୍ରୀମତୀ ମହିଳା.

ავეტიქა. (მარტი, ათვალიერებს კარგების და ღლებს ფულებს) არჩ,
მე მაგას გარგართ კაცნობ, გარგი ბიჭია, მაგრამ უგირასოთ კა არ
მიკვებ.

ପ୍ରଦୀପଙ୍କୁ ପାଇଁ ଏହାରେ ଆମେ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

იაკონა. (კურთხვა) Иванъ! Аветикъ завотъ тебѣ (ზედ
დის) მაინა გარებო... დაუძანე, და მოდის.

იაგორა. მეტე მე უსაკთოდ დატვირთვა, არა გრცებენიან, აკეტი, ჩემიან რა გაიზარდება გინდა (ამ დარპირვების დროს მიერა ასლიას და ფეხებს სელიდგან თომეეს) მაითა მეოქმედ ჩერა, ამ ესე.

అప్పగియ్యా. ఈస్తే, ఈస్తే నీట శ్వర్ణపడ?

ପାଇଁଲାଗା. (ମିଳିବ) ମାତ୍ରାନ୍ତକ ଆସିଥିଲୁକଣ୍ଠ, ମହିଳାନ୍ତକ!

ავეტიქა. (მისდევს) და ღრუჟინ, დეკორ, ბრძანები შაინც ბრძანდა.

იგვირა. (ჭარებში) სიქმე არა გატეს აკერძო, რა ბართდ, თას ამზღვა? სადა გრცელდან ამებისთვის, წალი შენ ფულებზე დაჭამი, ერგე ბევრი გამოჩერა (გავა)

ავეტიქა (შაკოტი) ეს მანეთ ნახვები ხოლ გიდებ აკაგლიზებ, ღწება ამდენის არ გარომებ, მაგრამ რო არ იციან ფულის ყალი!

გამოსვლა V. გეტიქს და იგანე.

ոՅԱԲԵՐ (ՁյօՔՆՁՈՅՑ) Վա մենա զвали Ավետիկ Արտեմիչ?

озыбъ. Да как же такъ неосторожно,

աՅՐԻՇ. Воть этъ чалавѣкъ животъ упалъ мнѣ да не пустиль; ступай Иванъ, одинъ аблабуда принеси, և
крови առ թամշօֆյես.

օվանց. Что такое, блюдо?

աՅՐԻՇ. Гавару аблабуда, аблабуда ни знаишъ? Этъ,
который стари домъ углу есть, և ու թղթյը, ածածյա
ռալա!

օվանց. Ну, ну!

աՅՐԻՇ. Онъ свой домъ дѣлаетъ углу, մյու մуха թօց,
идетъ և ծածկ դѣлаетъ, да մյու, ածածյա յառջես, ռալա!

օվանց. Какъ вамъ угодно Аветикъ Артемичъ, а я ничего на понимаю.

աՅՐԻՇ. (Ճշկաշընյալո բառերից յօներին) յէ, ступай յու-
տո და, զարօս տպա, ածածյա ռա օրո ու ձարօս, մա ռա օրօ?
(Ճաշքանք ըստ տառան շամանունից) յարին յամահեցյօն աց-
ջանա և օպառա).

օպառա. (յալուսյեն) Акулинъ, иди суда тебѣ дѣло
есть! (Հակառացածին).

աՅՐԻՇ. (Ոմատ յըրա եցազ) յուտո օւյտո յըրազոն խաչօցք յը-
յո, ռամ կըսամ մամշօֆյես.

օպառա. յա, Такъ, և, какъ тебѣ сказалъ.

աշուլոն. Хорошо, хорошо, будьте покойны, все такъ
исполню (յարին) Аветикъ Артемичъ, здравствуйте!

(Հասանույն Շեմանց Ն-ն)

բացօ առ ժամանակ 7 օրունենակ

արկուդ այսուհետակ լուս (մաշտիճ) այսուհետակ լուս
առ առաջ պատու առօն (մաշտիճ մասս) ԱՅՐԻՇ

ունկադոօրս այս ժամանակ այսուհետակ

სოული სია დოამატიულ თსზულებათა ქართულს ენაზე
შეკრებილი და შედგენილი ქართული დოამატიული დასის არტისტის
კ. აბაშიძის მიერ.

(გაგრძელება) *

3.

გავიუარნეთ (Надо разводиться) ქოქედ. 3 მოქმედ. თხ. კ.
სარდუსი, გადმოღებული კ. აბაშიძის მიერ. (სელთნაწერია
1886 წ.).

გამოამებდავნენს (Обличили) კოდეკ. 1 მოქმედ. თარგმ. დ.
მესხისა. (სელთნაწერია 1879 წ.).

გამოცდა ნიშნობის წინა დღით (Испытаніе передъ
обрученіемъ) კოდეკ. 1 მოქმედ. გადმოკ. ა. მოჩხებარიძის მიერ.
(სელთნაწერია 18881 წ.).

განათლების ნალიები, ანუ სამოქალაქო ქორწინება (Гра-
жданскій бракъ) ქოქედ. 5 მოქმედ. თხ. ჩერნიავსკის, თარგმ.
ა. მოჩხებარიძისა. (სელთნაწერია 1881 წ.).

განა ბიძიამ ცოლი შეირთო? (Развѣ дядюшка же
нился?) ქოქედ. 1 მოქმედ. თხ. ზ. ანტონოვისა. (დაბეჭდილია
ცალები წიგნად 1876 წ.).

გარეთ ხალმხა-ანგელოზია, სახლში ქმართან-ტარტა-
როზია Вълюдахъ ангель, не жена, дома съмужемъ сата-
на) კოდეკ. 3 მოქმედ. თარგმ. აბაზაძისა. (სელთნაწერია 1882 წ.).

გაურა (Раздѣль) ქოქედ. 4 მოქმედ. თხ. კ. ერის-
თავისა (დაბეჭდილია ცალები წიგნათ 1834 წ.).

გაცარცული ფოსტა (Ограбленная почта) დოამა 5
მოქმედ. თარგმ. ა. მოჩხებარიძისა. (სელთნაწერია 1884 წ.).

გაწუვეტილი ვახმამი, ანუ მეტი კარი უცოდო გაცის
ოთახშა (Прерванный ужинъ) ხემორავიდეკ. 1 მოქმედ. თხ. ზაკონებებისგისა. თარგმ. ა. გამრეპლისა. (სელთნაწერია 1875 წ.).

გეო, მინას და კამპანია (Гео, Минас и Компания)
ქოქედ. 3 მოქმედ. ფრანგულიდამ გადმოკ. თავ. დ. კრისთავის მიერ.
(სელთნაწერია 1875).

გეცი ფონ ბერლისინგენი (Гецъ фонъ Берлисингенъ) დრამა 5 მოქმედ. თხზ გიორგის. თარგმ. ჩარქებულისა. (ხელთხაწერია 1880 წ.).

გზა დაბნეულნი ცხოვარნი (Заблудшія овцы) ქამედ. 4 მოქმედ. თხზ. ტეობალდო ჩიკონისა თარგმ. ა. ჭაბადარისა. ხელთხაწერია 1885 წ.).

გლოხა ჭრიამვილი, ანუ გლეხთა განთავისუფლების პირველი დრო (Глаха Чріашвили, или сцены изъ временья освобождения крестьянъ) ქამ მოქმედიანი სცენა, თხზ. ა. ჭაბადარისა (დაბეჭდილია «დროება» 1867 წ. № 23).

გრძნობა და მოვალეობა (Чувство и обязанность) დრამა 5 მოქმედ. თხზ. ა. მოხსენარიძისა. (ხელთხაწერია 1880 წ.).

გულმა იგრძნო (Отклинулось сердечко) დრამა ტიუდი ეტაჟი 1 მოქმედ. თხზ. ჯანელიას. თარგმ. მარ. საფაროვი-ბაშიძისა (ხელთხაწერია 1882 წ.).

გულნარა (Гюльнара) დრამა 5 მოქმედ. თხზ. ა. მოხსენარიძისა. (ხელთხაწერია 1884 წ.).

(უმდეგი იქნება)

დედაქრონი და გამომწემდე ალ. ნებიერიძე.

Дозв. ценз. Тифл. 10 Сентября 1888 г. Тип. Е. Хел. Сап. ул. № 4

(მიმართ და გამომწემდე) ალ. ნებიერიძე

ალ. ნებიერიძე და გამომწემდე ალ. ნებიერიძე

